დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
დადგენილებით # 10. 18.05.2020 წ. ოქმი # 2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია

მუხლი 1. წესის გამოყენების სფერო

1. წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიურ საკითხებს, აგრეთვე შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის, გაუქმების პროცედურებს და სხვ. ასევე პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანის, გაუქმების პროცედურებს.

მუხლი 2. პროფესიული განათლება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით.

2. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად განისაზღვრება მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები, შესაბამისი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომლებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების და ამ პროგრამის/პროგრამების განხორციელების წინაპირობები, დასაქმების სფეროები და საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მათი არსებობის შემთხვევაში).

3. პროფესიული განათლება ხორციელდება შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით:

ა) საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;

ბ) საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონის შესაბამისი კვალიფიკაციისმინიჭებით;

გ) უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული

კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;
4. პროფესიული განათლება ასევე ხორციელდება:
ა) **პროფესიული მომზადების პროგრამით,** პროგრამა, რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე4/მე-5 დონეს , რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

ბ) **პროფესიული გადამზადების პროგრამით,** რომლის მიზანია კომპეტენციების შეძენა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

გ) მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამით, რომელიც არის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის შექმნის საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი და რომელიც უკავშირდება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამის იმ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც აგრეთვე გადის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლისშედეგებზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო.

5. **საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით,** რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და რომლის მიზანია საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის პროფესიის შესწავლის პარალელურად სრული ზოგადი განათლების მიწოდება და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება, რაც სრულდება ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით.

მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება
1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად.
2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კრედიტებით უნდა იყოს გაანგარიშებული.

2[1].საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით უნდა მოიცავდეს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებს.
2[2].პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის მიღწევა ხდება რეალურ ან/და იმიტირებულ სამუშაო გარემოში.
2[3].პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი სწავლის შედეგის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა შესაძლებელია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებით (დუალური ან კოოპერაციული სწავლება).
2[4].დუალური სწავლების შემთხვევაში პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50%-ზე მეტის შესაბამისი სწავლის შედეგები მიიღწევა სასწავლო საწარმოში.
2[5].დუალური სწავლებისას პროგრამის ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ 2 წლისა. კოოპერაციული სწავლების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა ხდება რეალურ სამუშაო გარემოში.
2[6].პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განისაზღვრება კოოპერაციული სწავლების ფარგლებში პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50%-ზე მეტის შესაბამისი სწავლის შესაძლებლობა/დასაშვებობა რეალურ სამუშაო გარემოში.
3.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიულ გეგმას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას წინ უნდა უძღვოდეს დაგეგმვის ეტაპი და ეფუძნებოდეს დაინტერესებული მხარეების - პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, დამსაქმებლებისა და სხვა პირების გამოკითხვის შედეგებს, რესურსებისა და შრომის ბაზრის ანალიზს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს. აგრეთვე შესაბამის დასაბუთებას.
4.შესაბამისი დასაბუთება უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ არგუმენტებს:
ა) არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/სამუშაო პოზიციებზე, რაც დასტურდება კვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით;
ბ) უნივერსიტეტი აფართოებს პროგრამათა სპექტრს მისი ძირითადი პროფილური მიმართულების ფარგლებში;
გ) პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების საშუალებას ან ხელს უწყობს პიროვნული ინტერესების რეალიზაციას ან სოციალურ ინტეგრაციას და სხვ.
5. პროფესიული საგანმანათლებლი პროგრამების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს: პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა, განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია, ასევე პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსები. საწარმოო პრაქტიკის ობიექტთან დადებული მემორანდუმი/ხელშეკრულება

6.ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

გასათვალიწინებელია რიგი თავისებურებები, კერძოდ, პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, არ უნდა იყოს 65 სასწავლო კვირაზე ნაკლები.
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება შეუძლია როგორც დაინტერესებულ პირს, ისე პირთა ჯგუფს, რომელიც ინიცირების შესახებ განცხადებით მიმართავს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის (შემდგომში დეპარტამენტი) უფროსს.

8 დეპარტამენტის უფროსის წარდგინების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით ამტკიცებს პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდნენ: დეპარტამენტის უფროსი; დარგის სპეციალისტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები; დამსაქმებლები/პოტენციური დამსაქმებლები; კურსდამთავრებულები; დარგის ექსპერტები და სხვა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში უნდა იყოს პირი, რომელიც შემდეგში განიხილება პროგრამის ხელმძღვანელად. ასევე აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივნი

მუხლი 3[1]. **პროფესიული საგანმანათლებლო** პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფი:

1. . **პროფესიული საგანმანათლებლო** პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფი:
ა) შეისწავლის შესაბამის საგანმანათლებლო სტანდარტს/ჩარჩო დოკუმენტს;

ბ) განსაზღვრავს პროგრამის სახელწოდებას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს;

გ) განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამისთვის არჩევით მოდულ(ებ)ს (იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტი იძლევა არჩევითი მოდულების ინტეგრირების შესაძლებლობას);

დ) აკონკრეტებს პროგრამაში გათვალისწინებული უცხოური ენის სწავლებისათვის ენას, თუ ეს დაკონკრეტებული არაა შესაბამისი სტანდარტით;

ე)წინასწარ ახორციელებს შეთანხმებას პროგრამის განმახორციელებელ პირებთან/პროფესიული განათლების მასწავლებლებთან (პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად თითოეული მოდულისთვის განისაზღვრება მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირი).

ვ) განახორციელებს საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული მოდულების ადაპტირებას;

ზ) უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად ახორციელებს უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული რესურსის

შედარებას საგანმანათლებლო სტანდარტში/მოდულში მოცემული ტექნიკური აღჭურვილობის სარეკომენდაციო ჩამონათვალთან და ადგენს მოსაძიებელი/შესასყიდი რესურსის სიას და დაახლოებით ხარჯთაღრიცხვას, შესასყიდი რესურსის, მასალა-ნედლეულის საჭირო რაოდენობისა და ფასის გათვალისწინებით;

თ) განსაზღვრავს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსს და ადგენს მის ხელმისაწვდომობას საბიბლიოთეკო ბაზებში;

ი) განსაზღვრავს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის (პრაქტიული პროექტი, საწარმოო პრაქტიკა და სხვა) განხორციელების მიდგომებსა და მოიძიებს პრაქტიკის ობიექტებს;

კ) პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტის (ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით) კონსულტაციით ადგენს სასწავლო გეგმას;

ლ) პროგრამის შემუშავების მიზნით ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა აქტივობებს.
მ) კოორდინაციას უწევს მოდულის განმახორციელებელთან წინასწარი შეთანხმების გაფორმებას, პერსონალთან გაფორმებული შეთანხმება თან ერთვის პროგრამის სამუშაო ჯგუფის მასალებს;

2. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პროგრამა (ამ წესით გათვალისწინებულ მასალებთან ერთად) პირველადი შეფასებისათვის გადაეცემა **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე (პროფესიული განათლების მიმართულებით)**,რომელიც ულებამოსილია განიხილოს სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მასალები და მიიღოს გადაწყვეტილება თითოეულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, გაეცნოს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულ წინასწარ შეთანხმებებს და მოისმინოს ინფორმაცია უშუალოდ მათგან (მოითხოვოს საცდელი ლექციის/პრაქტიკული მუშაობის ან სხვა აქტივობის ჩატარება, შეამოწმოს სასწავლო მასალები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვა), ასევე სამუშაო ჯგუფს მისცეს რეკომენდაციები პროგრამის სრულყოფისა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანისათვის. **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილის (პროფესიული განათლების მიმართულებით)** დადებითი რეკომენდაციის/დასკვნის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო რედაქცია დეპარტამენტის უფროსის მიერ წარედგინება დასამტკიცებლად აკადემიურ საბჭოს.

3. აკადემიური საბჭოს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში, პროგრამა და შესაბამისი დოკუმენტები წარედგინება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით (იმ ეტაპზე, როდესაც უნივერსიტეტს მოპოვებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება).

მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიული

საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით და წინამდებარე წესით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და მასში მითითებული უნდა იყოს:

ა) სატიტულე ფურცელი;

ბ) პროფესიული სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც იქმნება პროგრამა;

გ) პროფესიული სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი;

დ) პროფესიული სპეციალიზაცია/სპეციალიზაციები დამისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები;

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი;

ვ) დაშვების წინაპირობა/წინაპირობები;

ზ) სწავლის შედეგები

თ) კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები;

ი)საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

- ქართულენოვანი სტუდენტებისთვის;
- სასწავლო გეგმა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის.

კ) მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები;

ლ) სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება;

მ) პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება.

ნ) პროგრამით გათვალისწინებული პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **დაშვების წინაპირობები და პროცედურები უნდა** უზრუნველყოფდეს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სამი ტიპის მოდულებს: ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები და არჩევითი მოდულები. ზოგადი მოდულები და სავალდებულო პროფესიული მოდულები სავალდებულოა და მათი შეცვლის უფლება უნივერსიტეტს არ გააჩნია.

4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, შეარჩიოს არჩევითი მოდულ(ებ)ის მინიმუმ ის რაოდენობა, რაც პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობის ათვისების საშუალებას მისცემს პროფესიულ სტუდენტს ან პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა (სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული) განახორციელოს არჩევითი მოდულ(ებ)ის გარეშე.

5. ერთსა და იმავე პროფესიულ სპეციალიზაციაზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიდგომით, რომელთაგან ერთი განსაზღვრავს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებულ 50%-ზე მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.
7. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესაძლებლობას და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები (არსებობის შემთხვევაში).
8. თუ მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, მაშინ სასურველია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს მინიმუმ ორკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა.
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ქართული ენის მოდულს/ებს იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვებს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით.
10. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს სასწავლო გეგმა. სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა იყოს 30 საათზე ნაკლები და 40 საათზე მეტი (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც). ასევე სასწავლო გეგმაში ასახული უნდა იყოს ქართული ენის მოდულები.
11. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დანართის სახით უნდა ახლდეს სასწავლო გეგმა გაწერილი არა ნაკლებ 65 სასწავლო კვირაზე. ასევე სასწავლო გეგმაში ასახული უნდა იყოს ქართული ენის მოდულები.
12. პროგრამის განმახორციელებელი უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელიც თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგის გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს.

მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის შემუშავება

1. მოდული წარმოადგენს პროგრამის დანართს და მტკიცდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად.
2. მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში გამოიცემა ახალი სამართლებრივი აქტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
3. მოდულები შედგება სამი ნაწილისგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები.
4. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება დაუშვებელია.
5. დამხმარე ჩანაწერები ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს, შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა, სათანადო დასაბუთებით. კონკრეტულად, შესაძლებელია შეიცვალოს

სწავლების მიდგომები და მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტები (და არა მიმართულებები).
6. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, შეცვალოს თემატიკა მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში ან შეცვალოს სწავლის მეთოდები საკუთარი შეხედულებისამებრ. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად (მათ შორის, ერთი ინსტრუმენტით).
7. მოდულში მიეთითება მოდულის განხორციელების ადგილი, უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული შესაბამისი აუდიტორია/პრაქტიკის განხორციელების ობიექტი.
8. აღჭურვილობა და მასალა/ნედლეული ინდივიდუალურია თითოეული მოდულისათვის. მატერიალური რესურსი (აღჭურვილობა) უნდა იძლეოდეს მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. ტექნიკური აღჭურვილობის ნაწილში მითითებული აღჭურვილობა არ უნდა იყოს ნორმატივში მითითებულ პარამეტრებზე ნაკლები.
9. მოდულის სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებადი უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. მოდულის შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები უნდა ცხადყოფდეს, თუ რა მიმართულებით უნდა შეფასდეს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევა. ინსტრუმენტი შესაფასებელი სწავლის შედეგის ადეკვატური უნდა იყოს და სანდო მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას იძლეოდეს.
10. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს თავის საბიბლიოთეკო ფონდში არსებული ყველა სახის ლიტერტურის პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომობა.

მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

1. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი ან პროფესიული განათლება. შესაბამის დარგში პრაქტიკული მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება.
2. პროგრამის ხელმძღვანელს უნდა ახასიათებდეს:
ა) მაღალი პასუხისმგებლობა და ორგანიზებულობა;
ბ) დაგეგმვის უნარი და დეტალებზე ორიენტაცია;
გ) ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;
დ) სხვადასხვა ამოცანაზე ერთდროულად მუშაობის უნარი;
ე) გუნდურად მუშაობის უნარი.
3. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად საჭირო კომპეტენციებია (ცოდნა, გამოცდილება, უნარები):
ა) ცვლილებების ინიცირების, კომუნიკაციის დაგეგმვის ან/და მართვის უნარი;
ბ) კრიტიკული აზროვნების უნარი;
გ) დროის ეფექტიანად მართვის უნარი;
დ) კადრის განვითარების, შეფასების, მოტივირების უნარი;
ე) კონსულტირების და ქოუჩინგის უნარი.
4. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია პროგრამას ჰყავდეს თანახელმძღვანელი (ან კოორდინატორი), მათ შორის, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტი.

5. პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს მიზანია, პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, პრაქტიკის და თეორიის კომპონენტის შეთავსებაზე, პროგრამის შინაარსის, ასევე მის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარებაზე ზრუნვა.

6. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებია:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სასწავლო პროცესში მონაწილეობა (სასწავლო ცხრილები, მასწავლებელთა მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია , სტუდენტის ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან, სტუდენტთა განაწილება პრაქტიკის ობიექტებზე);

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემის განსაზღვრა, მონიტორინგში და პერიოდულ შეფასებაში მონაწილეობა;

გ) საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირება, დანერგვა და მოდიფიცირებაში მონაწილეობა;

დ) პროგრამის განმახორციელებელ პირთა/პროფესიული განათლების მასწავლებელთა ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა;

ე) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად შესაბამისი პოლიტიკისა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასების პროცედურების შემუშავებაში მონაწილეობა;

ვ) სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უზრუნველყოფა;

ზ) პროგრამის განმახორციელებელ პირთა/პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებებში მონაწილეობა;

თ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ავტორიზაციის – თვითშეფასების პროცესის განხორციელებაში და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებაში მონაწილეობა;

ი) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგად რეკომენდაციებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრუყოფის მიზნით;

კ) საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

7. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების ინდიკატორები:

ა) დროულად, დადგენილი ვადების შესაბამისად და სრულყოფილად მომზადებული დოკუმენტაცია;

ბ) პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის დროულად და ოპერატიულად მიწოდებული ინფორმაცია;

გ) საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირება.

8. პროგრამის ხელმძღვანელის უფლებებია:

ა) ჰქონდეს მუშაობისათვის საჭირო სამუშაო გარემო;

ბ) დაიცვას საკუთარი პოზიციები აზრთა სხვადასხვაობის დროს;

გ) მოითხოვოს თანამდებობრივი ინსტრუქციით განსაზღვრული ფუნქციების

შესრულებისათვის აუცილებელი ინფორმაცია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისგან;
დ) ისარგებლოს ,,საქართველოს შრომის კოდექსით“ და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.
(აკადემიური საბჭოს 2020 წლის 04 ნოემბერი დადგენილებაN43, ოქმი N7)

მუხლი 6[1] . ამოღებულია.
მუხლი 7. ამოღებულია.

მუხლი 8. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა

1. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია: პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი მექანიზმებით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, ასევე სხვა გარემოებების საფუძველზე.

2. პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე დასაბუთებული წერილობითი ინიციატივა შეიძლება წარმოდგენილი იქნას დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტის (ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით), პროგრამის ხელმძღვანელის, პრაქტიკის ობიექტის/ სასწავლო საწარმოს ან/და დამსაქმებლების, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ.

3. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი (ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით) უზრუნველყოფს შესაბამისი პროფესიული პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობას. მიღებული გადაწყვეტილებას გაეცნობა **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე (პროფესიული განათლების მიმართულებით)**, რომელიც თავის მხრივ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ ვერსიას წარუდგენს დასამტკიცებლად აკადემიურ საბჭოს.

უნივერსიტეტი ვალდებულია ცენტრს აცნობოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორცილებული ცვლილებების შესახებ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე, არანაკლებ **60 კალენდარული** დღით ადრე.

3[1]. შესაძლებელია შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, ამ პროგრამის შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება (მხოლოდ აღნიშნული პროგრამის შეცვლამდე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის). იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე

ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ვალდებულია ცენტრს აცნობოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან **30 კალენდარული** დღის ვადაში.

4. დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო გამოსცემს დადგენილებას შესაბამის პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ. ამავე დადგენილებით განისაზღვრება შეცვლილი პროგრამის ამოქმედების თარიღი, ასევე ინფორმაცია პროგრამის შეცვლამდე ამ პროგრამაზე აქტიურ პროფესიულ სტუდენტთა (არსებობის შემთხვევაში) სწავლის გაგრძელების შესახებ.

5. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პროგრამაში ცვლილების პროექტის მომზადების პარალელურად, დეპარტამენტი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა წერილობითი ინფორმირებას და განუმარტავს მათ უფლებას - კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დაასრულონ სწავლა შეცვლამდე არსებულ პროგრამაზე ან განახორციელონ მობილობა სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან საკუთარი ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/დაამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ვალდებულია აღნიშნული ცვლილების შესახებ ცენტრს აცნობოს ცვლილების განხორციელების შესახებ აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილების გამოცემიდან **30 კალენდარული** დღის ვადაში და ცენტრს წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება და მტკიცებულებები.

მუხლი 9. პროფესიულისაგანმანათლებლო პროგრამების გაუქმება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) ადამიანური რესურსის სიმცირე, აპლიკანტების მხრიდან პროგრამის მიმართ ინტერესის არარსებობა, პროგრამის განხორციელებისას გაფორმებული მემორანდუმის/ხელშეკრულების ფარგლებში პარტნიორებთან თანამშრომლობის შეწყვეტა და სხვ.

ბ)პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტის) გაუქმება;

გ)თუკი უნივერსიტეტი ზედიზედ 3 წლის მანძილზე არ განახორციელებს ავტორიზებულ პროგრამას , ამ შემთხვევაში თვითშეფასებით დგინდება, რომ პროგრამა აღარ არის მოთხოვნადი შრომის ბაზარზე და უახლოეს პერიოდშიც არ ჩანს მისი განხორციელების პერსპექტივა;

დ)პროფესიული სტუდენტების დასაქმების დაბალი მაჩვენებელი;

ე)სხვა შემთხვევა, რომელიც პროგრამის გაუქმებით არ დაარღვევს პროფესიულ სტუდენტთა კანონიერ ინტერესებს;

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ დეპრტამენტის უფროსი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტის (პროფესიული

განათლების მიმართულებით) დასკვნის საფუძველზე მიმართავს აკადემიურ საბჭოს განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.
3. გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ ეგზავნება უნივერსიტეტის **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილეს (პროფესიული განათლების მიმართულებით)** შემდგომი პროცესების განხორციელების მიზნით.

მუხლი 10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული საგანმათლებლო პროგრამებით სტუდენტების განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები
1. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელზეც პროფესიული სტუდენტი სწავლობს, შეიცვალა ან გაუქმდა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მის დაქვემდებარებაში არსებული ალტერნატიული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზებას და/ან ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტის მობილობას სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში (მემორანდუმის საფუძველზე) იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმათლებლო პროგრამაზე, რომლის სწავლის შედეგები ყველაზე მეტად ერთგვაროვანია იმ პროფესიულ საგანმათლებლო პროგრამასთან, რომელზეც პროფესიული სტუდენტი სწავლობდა.
2. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია, შესაბამის პროფესიულ საგანმათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს შესაბამისი კვალიფიკაცია.
3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის პირობების შესრულება ვერ ხორციელდება, უნივერსიტეტი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაასრულებინოს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

მუხლი 11. ამოღებულია. (აკადემიური საბჭოს 2020 წლის 04 ნოემბერი დადგენილებაN43, ოქმი N7)

მუხლი 12. პროფესიული განათლების პროგრამის შეფასება

1. პროფესიული განათლების პროგრამის შეფასება ხელს უწყობს უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილ, ხარისხიან და ეფექტურ განხორციელებას.
2. უნივერსიტეტს პროფესიული განათლების პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები დემინგის ციკლის შესაბამისად.
3. პროფესიული განათლების პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს:
პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება;

სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა;
მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება;
მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება;
ვერიფიკაცია.
4. პროფესიული განათლების პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით, ვერიფიკაციით.
5. პროგრამების განვითარებაზე ზრუნვას უნივერსიტეტი ახორციელებს როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით. პირველ შემთხვევაში პროგრამების გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს: თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, საათების გადანაწილებას, სასწავლო რესურსის შეცვლას, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. ინფორმაცია შესაძლოა მიღებული იქნას როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, რომელიც სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ აანალიზებს მოდულის განხორციელების მიმდინარეობას და გამოყოფს საკითხებს,რომელთა გაუმჯობესებაც რეკომენდებულია, ასევე პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისაგან, რომლებმაც უკვე დაასრულეს მოდული. შესაძლოა სწავლის მეთოდებისა და მიდგომების ან სასწავლო რესურსების გაუმჯობესების წყაროდ იქცეს საერთაშორისო პრაქტიკა, რომელსაც გაეცნო უნივერსიტეტი და თვლის, რომ მისი დანერგვით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს.
6. პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, უნივერსიტეტის **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე (პროფესიული განათლების მიმართულებით)** შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის უფროსს
7. **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილის (პროფესიული განათლების მიმართულებით)** რეკომენდაციების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს პროფესიულ განათლების პროგრამაში ცვლილებები. ცვლილებების პროცედურები ხორციელდება წინამდებარე წესის შესაბამისად.

მუხლი 13. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავება და დამტკიცება

1.პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების ინიცირება შეუძლია როგორც დაინტერესებულ პირს, ისე პირთა ჯგუფს, რომელიც ინიცირების შესახებ განცხადებით მიმართავს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის (შემდგომში დეპარტამენტი) უფროსს.

2 პროგრამის შემუშავების მიზანშეწონილობა დგინდება შესაბამის კვლევის ან დამსაქმებელთა მომართვიანობის საფუძველზე .

3.პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა რომელიც ხორციელდება დადასტურების გზით საჭიროებს პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთებას.
4.პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების საწყის ეტაპზე დეპარტამენტის უფროსის წარდგინების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით ამტკიცებს პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფს, ასევე აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივნი.
5. სამუშაო ჯგუფის წევრები შესაძლოა იყვნენ: დარგის სპეციალისტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები. ჯგუფის შემადგენლობაში უნდა იყოს პირი, რომელიც შემდეგში განიხილება პროგრამის ხელმძღვანელად.

6. თუ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებაში ერთვება მეწარმე სუბიექტი ან სახელმწიფო ორგანო, პროგრამას თან უნდა ახლდეს ხელშეკრულება თანამშრომლობის ფორმატის შესახებ.

მუხლი 14. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფი
1.პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფი:
ა) განსაზღვრავს პროგრამის სახელწოდებას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს;

ბ) უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად ახორციელებს უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული რესურსის შედარებას პროგრამით განსაზღვრული ტექნიკური აღჭურვილობის სარეკომენდაციო ჩამონათვალთან და ადგენს მოსაძიებელი/შესასყიდი რესურსის სიას და დაახლოებით ხარჯთაღრიცხვას, შესასყიდი რესურსის, მასალა-ნედლეულის საჭირო რაოდენობისა და ფასის გათვალისწინებით;

გ) განსაზღვრავს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსს და ადგენს მის ხელმისაწვდომობას საბიბლიოთეკო ბაზებში;

დ) განსაზღვრავს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომებსა და მოიძიებს პრაქტიკის ობიექტებს;

ე) პროგრამის შემუშავების მიზნით ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა აქტივობებს.

ვ) კოორდინაციას უწევს პროგრამის განმახორციელებლებთან წინასწარი შეთანხმების გაფორმებას, პერსონალთან გაფორმებული შეთანხმება თან ერთვის პროგრამის სამუშაო ჯგუფის მასალებს;

2. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული **პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების** პროგრამა (ამ წესით გათვალისწინებულ მასალებთან ერთად) პირველადი შეფასებისათვის გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის მთავარ სპეციალისტს (პროფესიული განათლების მიმართულებით). **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე (პროფესიული განათლების მიმართულებით)** უფლებამოსილია განიხილოს სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მასალები და მიიღოს გადაწყვეტილება თითოეულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, გაეცნოს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულ წინასწარ შეთანხმებებს და მოისმინოს ინფორმაცია უშუალოდ მათგან, ასევე სამუშაო ჯგუფს მისცეს რეკომენდაციები პროგრამის სრულყოფისა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანისათვის. **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილის (პროფესიული განათლების მიმართულებით)** დადებითი რეკომენდაციის/დასკვნის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო რედაქცია დეპარტამენტის უფროსის მიერ წარედგინება დასამტკიცებლად აკადემიურ საბჭოს.

3 აკადემიური საბჭოს მიერ პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში, პროგრამა და შესაბამისი დოკუმენტები წარედგინება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს **პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების** პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით.

მუხლი 15. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შინაარსი

1.პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის სასწავლო დატვირთვა ლოგიკურად უნდა შეესაბამებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულ(ებ)ის ფარგლებში ანალოგიური შედეგებისათვის გათვალისწინებულ დატვირთვას.

2. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას.

3. თუ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა შემუშავებულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს უნივერსიტეტს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და არ უნდა იყოს იმ წინაპირობაზე ნაკლები, რომელიც გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.

მუხლი 16. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილებების შეტანა

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.

2. თუ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა შემუშავებულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც აქვს მოპოვებული უნივერსიტეტს და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შეიცვალა სწავლის შედეგები უნივერსიტეტი ვალდებულია ,მსმენელებს სწავლა დაასრულებინოს იმ პროგრამაზე, რომელზეც ისინი ჩაირიცხნენ და განახორციელოს პროგრამაში ცვლილებები ახალ მსმენელთა მიღების გამოცხადებამდე და აცნობოს ცვლილების შესახებ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების შემთხვევაში, რომლის ფარგლებშიც მომზადებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ მსმენელებს დაასრულებინოს სწავლა.

4. უნივერსიტეტი მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას.

შეტანილი ცვლილებები:
1. აკადემიური საბჭოს 2020 წლის 04 ნოემბერი დადგენილება N43, ოქმი N7
2. აკადემიური საბჭოს 2025 წლის 11 მარტის დადგენილება N 262959, ოქმი N3
3. აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 აპრილის დადგენილება N502818, ოქმი N4